MES 0 21 0000228857

15/03/2021

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2021 წლის 26 თებერვალს.**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/87049499373?pwd=V284dWFJcmthTUxLY1ZLVXJ4TUtlUT09
Meeting ID: 870 4949 9373

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი, საბჭოს თავმჯდომარე;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მარიამ ჩაგელიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში - ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
გიორგი ხიშტოვანი - ა(ა)იპ - პი ემ სი კვლევითი ცენტრის კვლევითი მიმართულების დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი, საბჭოს წევრი;
დეა აბულაძე - სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა“ - პროგრამული განვითარების კოორდინატორი, საბჭოს წევრი;

ქრისტინა რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
მაგდა ბოლოთაშვილი - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე, საბჭოს მდივანი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში -ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოადგილე;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“:
მამია ჯანჯალია - დირექტორი;
თამარ შალვაშვილი - დირექტორის მოადგილე;
ნინო ქიტიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფისა და პროგრამების მენეჯერი;
ნიკა ყრუაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ ხელმძღვანელი.

სსიპ - კოლეჯი „ოპიზარი“:
ბელა ავალიშვილი - დირექტორი;
ნათელა აკოფაშვილი - დირექტორის მოადგილე;
მავრა ტატალაშვილი - იურისტი;
მაია თედორაძე - პროგრამებისა და ხარისხის მენეჯერი;
ლელა სარიშვილი - პროფესიული განათლების მასწავლებელი.

სსიპ - კოლეჯი „მოდუსი“:
პავლე თვალიაშვილი - დირექტორი;
მადონა გოგობერიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი;
დიანა გოშაძე - დირექტორის მოადგილე ეკონომიკურ დარგში.

ა(ა)იპ - კოლეჯი „ჰორიზონტი“:
ნანა ჯოლია - დირექტორი;
თამარ არობელიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი.

პროფესიული განათლების ავტორიზაციის ექსპერტები:

თამარ რემიშვილი
მანანა კობალაძე
ეკატერინე პატიეშვილი
ნანა შარაბიძე
ზაირა ბერიძე
დიანა გახარია
დავით გუდაძე
იაზონ დანელია
ნანა შათირიშვილი
ალინა კუპრავა
ალექსანდრე კეკენაძე

საბჭოს სხდომა დაიწყო - 18:07

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ამიტომ, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.
თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
2. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარის“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
3. სსიპ - კოლეჯი „მოდუსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
4. ა(ა)იპ - კოლეჯი „ჰორიზონტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ელექტროობა“, „სარესტორნო მომსახურება“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
5. სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

მან მიმართა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ქალბატონ ნანი დალაქიშვილს, ხომ არ ჰქონდა ცენტრს შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა დღის წესრიგთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დღის წესრიგის მიხედვით მეხუთე საკითხი არის სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ვებტექნოლოგიები“ - მონიტორინგის შესახებ

საკითხი, ექსპერტმა ალინა კუპრავამ, ასევე, კოლეჯმაც, მიმართა ცენტრს შუამდგომლობით ეს საკითხი განხილულიყო სსიპ - კოლეჯი „ოპიზარის“ საკითხების განხილვის შემდეგ, რადგანაც როგორც ექსპერტი, ასევე დაწესებულება საბჭოს სხდომას ერთვებოდნენ დაწესებულებებიდან და რამდენადაც 9 საათის შემდეგ შეზღუდულია ქალაქში მოძრაობა, განსაკუთრებით თბილისში ჭირს გადაადგილება, თუ იქნებოდა ამის შესაძლებლობა, მეხუთე საკითხი განხილულიყო მესამე საკითხად.

საერთო შეთანხმებით, საბჭომ დაამტკიცა შეცვლილი დღის წესრიგი:

1. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სამკერვალო წარმოება“ - მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
2. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარის“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
3. სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ვებტექნოლოგიები“ - მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
4. ა(ა)იპ - კოლეჯი „ჰორიზონტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „ელექტროობა“, „სარესტორნო მომსახურება“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ - მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
5. სსიპ - კოლეჯი „მოდუსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „კულინარიის ხელოვნება“ - მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

1. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სამკერვალო წარმოება“ - მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს წინაშე მონიტორინგის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თამარ რემიშვილმა, მან აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა მონიტორინგის ფარგლებში დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით სსიპ - კოლეჯ „ოპიზარში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სამკერვალო წარმოება“, - ფარგლებში ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესაბამისობის შემოწმება, აღნიშნა, რომ მონიტორინგი საგანმანათლებლო დაწესებულებაში ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით იქნა დანიშნული.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ცენტრის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, ასევე დამატებით მოითხოვა საჭირო დოკუმენტები და მათი შესწავლაც მოახდინა. გასაუბრება წარიმართა კონსტრუქციულ ვითარებაში ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული განრიგის შესაბამისად, გასაუბრება შედგა კოლეჯის დირექტორთან, ხარისხის მენეჯერთან, ბიბლიოთეკართან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, შეხვედრის დროს განხორციელდა მატერიალური რესურსის დათვალიერება.

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სამკერვალო წარმოება“ - დამატება) მომზადებული დასკვნის თანახმად, დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამკერვალო წარმოება“ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“, რადგანაც 2.2 კომპონენტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“. მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებული დოკუმენტების და დისტანციური ჩართვის საფუძველზე, ზემოაღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტი ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისი“ და ზემოაღნიშნული პროგრამა არის უკვე „სრულად შესაბამისი“ ავტორიზაციის სტანდარტთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული იყო ტექნიკური უზუსტობა, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გრაფაში დაფიქსირებული იყო 42 პროფესიული სტუდენტი 28-ის ნაცვლად, და მიმართა საბჭოს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 1 აგვისტოს №653199 გადაწყვეტილების დანართში შესულიყო ცვლილება და პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულიყო 28-ით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა ადრე გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, წარმოადგინა პრეზენტაციაში ამ ინდიკატორების აღწერა და შეფასება, ასევე აღნიშნა რომ საბჭოს სხდომას ესწრებოდა დარგის ექსპერტი მანანა კობალაძე, რომელიც საჭიროების შემთხვევაში დააფიქსირებდა თავის პოზიციას.

წინა წარმოების ფარგლებში გაცემული იყო რამდენიმე რეკომენდაცია:

პირველი რეკომენდაცია,რომელიც ეხებოდა 2.2.1.1 ინდიკატორს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსის ჩამონათვალში განსაზღვრული ერთნემსიანი მაქური გვირისტის უნივერსალური საწარმოო საკერავი მანქანის ნაცვლად დაწესებულების C გარემოში წარმოდგენილი იყო საყოფაცხოვრებო საკერავი მანქანები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფდნენ სწავლის შედეგებზე გასვლას, დაწესებულების წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სურდათ უნივერსალური საწარმოო საკერავი მანქანების შეძენა, მაგრამ პანდემიასთან დაკავშირებული შექმნილი ვითარების გამო, ვერ მოხერხდა შესყიდვის პროცესის განხორციელება, თუმცა მომწოდებელ კომპანიასთან მოლაპარაკებები მიმდინარეობდა და სასწავლო პროცესში აღნიშნული მანქანების გამოყენების აუცილებლობის დადგომამდე (სავარაუდოდ ექვს თვეზე ნაკლებ დროში) შეძლებდნენ საჭირო მანქანების შეძენას, რათა საფრთხე არ შექმნოდა პროგრამის განხორციელებას, საკერავი მანქანები შეძენილია, რეკომენდაცია გათვალისწინებულია.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა 4.1.1.3 ინდიკატორს, ამასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას ვერიფიკაციის მექანიზმი შესაბამისობაში უნდა მოეყვანა ავტორიზაციის სტანდარტის 4.1.1. კომპონენტთან. დაწესებულების მიერ დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესის“ მიხედვით იკვეთებოდა ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტის დარღვევა, არ იყო დაცული ინტერესთა კონფლიქტი, ხარისხის მართვის მენეჯერი არ უნდა ყოფილიყო ჩართული შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების პროცესში სწავლის შედეგების დადასტურებამდე, მას უნდა შეესრულებინა მაკონტროლებელის ფუნქცია, ასევე საკუთარი შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესში არ უნდა ყოფილიყო ჩართული მოდულის განმახორციელებელი პირი. დისტანციური ჩართვის დროს და დოკუმენტაციის გადამოწმებით დასტურდება, რომ ეს რეკომენდაცია დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს.

შემდეგი რეკომენდაციაეხებოდა2.4.1.5 ინდიკატორს, დაწესებულებას უნდა შეეძინა დანართი №1-ით განსაზღვრული „სასწავლო გარემოს და მინიმალური მატერიალური რესურსი“ - 14 ცალი ერთ ნემსიანი მაქური გვირისტის უნივერსალური საწარმოო საკერავი მანქანა

დაწესებულების C გარემოში სასწავლო პროცესში მათი გამოყენების აუცილებლობის დადგომამდე (სავარაუდოდ ექვს თვეზე ნაკლებ დროში). ამასთანავე, ვინაიდან პრაქტიკის ობიექტი (მისი მცირე სიმძლავრის გამო) ვერ უზრუნველყოფდა სწავლის შედეგის სრულად მიღწევას, ასევე შესაძლებელი იქნებოდა „საწარმოო პრაქტიკის“ მოდულის დაწესებულების C გარემოში განხორციელება, რაც დადასტურდა ასევე დისტანციური ჩართვის დროს C გარემოს დათვალიერებით. რეკომენდაცია გათვალისწინებულია.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა 2.4.2. ინდიკატორს, დაწესებულებას „გაცნობითი პრაქტიკა - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვის“ მოდულის ფარგლებში უნდა განეხორციელებინა გასვლითი (რეგიონის გარეთ) მიზნობრივი ექსკურსია სამკერვალო საწარმოში, ვინაიდან რეგიონში არ იყო ამის შესაძლებლობა. რეკომენდაცია შესრულებულია.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა 2.4.1.5. ინდიკატორს, დაწესებულებას უნდა განეხორციელებინა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში ცვლილება და „რაოდენობრივი წიგნიერების“ მოდულის სწავლება უნდა დაეწყო არა 39 კვირიდან, არამედ პირველი კვირიდან, რათა „ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება და მოდელირების“ მოდულის დაწყებამდე მომხდარიყო „რაოდენობრივი წიგნიერების“ მოდულის გარკვეული სწავლის შედეგების მიღწევა. დაწესებულებამ რეკომენდაცია ნაწილობრივ შეასრულა, მათი გადაწყვეტილებით, „რაოდენობრივი წიგნიერების“ მოდულის სწავლება დაიწყება არა 39-ე კვირიდან, არამედ მე-13-ე კვირიდან, „ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება და მოდელირების“ მოდულის პარალელურად, რაც სავსებით შესაძლებელი იყო და იგივე შედეგის მომცემი, დარგის ექსპერტთან კონსულტაციით დადასტურდა ამ თანმიმდევრობით მოდულების განხორციელების შესაძლებლობა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ დისტანციური ჩართვის დროს დათვალიერებულ იქნა ყველა სივრცე, ასევე ჩატარდა ინტერვიუირება „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განმახორციელებელ პირებთან, დადასტურდა მათი კომპეტენცია. ასევე მან აღნიშნა, რომ პროფესიული პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი, 4 პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებს დარგობრივ მოდულებს, მათ აქვთ დიდი გამოცდილება და კომპეტენცია, ისევე როგორც პროგრამის ხელმძღვანელს.

შემდეგ ჯგუფის თავმჯდომარე შეეხო საგანმანათლებლო რესურსების საკითხს და აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით, ასევე მატერიალური სახით დაწესებულების ბიბლიოთეკაში, დისტანციური წარმოების დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს კოლეჯის ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, ასევე დაათვალიერეს მოდულებში მითითებული სახელმძღვანელოები და გაესაუბრნენ ბიბლიოთეკარს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე პრეზენტაციაში ასევე შეეხო პროფესიული პროგრამის მდგრადობის საკითხს, მან აღნიშნა, რომ პროგრამა ფინანსურად მდგრადია, უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ პროგრამული, ვაუჩერული დაფინანსებით.

ასევე მან პრეზენტაციაში წარმოადგინა დაწესებულების ფოტოები, სადაც ნათლად ჩანდა სასწავლო გარემოს აღჭურვილობა, რაც საკმაოდ შთამბეჭდავი იყო. მან აღნიშნა, რომ დარგის ექსპერტი წინა ვიზიტის ფარგლებში იმყოფებოდა დაწესებულებაში და ვიზუალურად დათვალიერებული ჰქონდა სასწავლო გარემოები.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ამ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა „გაცნობითი პრაქტიკის“ მოდულის ფარგლებში სასწავლო ექსკურსიების განხორციელების შესაძლებლობებით, ვინაიდან რეგიონის გარეთ უნდა ყოფილიყო ეს განხორციელებული, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გასვლითი სასწავლო ექსკურსია დაგეგმილი ჰქონდა დაწესებულებას თბილისსა და ბათუმში.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა საბჭოს თავჯდომარეს მიმართა შუამდგომლობით, რომ საბჭოს სხდომაზე განხილული საკითხების გადაწყვეტილებების ამოქმედების თარიღად განესაზღვრა საბჭოს სხდომის დღე 2021 წლის 26 თებერვალი.
ნანი დალაქიშვილმა, ასევე, ითხოვა, რომ საბჭოს ემსჯელა „სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 1 აგვისტოს №653199 გადაწყვეტილების“ დანართში დაფიქსირებული უზუსტობის გასწორებაზე, რათა ზღვრული რაოდენობის გრაფაში დაზუსტებულიყო პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა და 42-ის ნაცვლად ასახულიყო 28, რასაც დაეთანხმა კოლეჯის დირექტორიც.
საბჭოს წევრებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს გასწორებულიყო აღნიშნული ტექნიკური უზუსტობა.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - კოლეჯ „ოპიზარში“ „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ასევე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „ოპიზარში“ (ს/კ: 224066980) „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
2. ცვლილება განხორციელდეს„სსიპ - კოლეჯ „ოპიზარისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 1 აგვისტოს №653199 გადაწყვეტილებაში“, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ - კოლეჯ „ოპიზარს“ (ს/კ: 224066980) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი)**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 26 თებერვალი.

2. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარის“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს

წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე მონიტორინგის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თამარ რემიშვილმა, მან აღნიშნა, რომ მონიტორინგი საგანმანათლებლო დაწესებულებაში ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით იქნა დანიშნული და მონიტორინგის საფუძველს ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ა.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება წარმოადგენდა.

წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ცენტრის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, ასევე, დამატებით გამოითხოვა საჭირო დოკუმენტები და მოახდინა მათი შესწავლაც. წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში („თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ) მომზადებული დასკვნის თანახმად, ინდიკატორი 1.2.1.3 - სტრატეგიულ გეგმა (2019-2025წ.წ.) არ მოიცავდა სტრატეგიული მიზნის მისაღწევად შესასრულებელ ამოცანებს, რაც იწვევდა ავტორიზაციის პირველი სტანდარტის დარღვევას. შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე ექსპერტებმა გამოავლინეს, რომ დაწესებულებამ სტრატეგიული გეგმა მოიყვანა 1.2.1 კომპონენტის მე-3 ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. ექსპერტებმა შეისწავლეს 1.2 კომპონენტის შეფასებისთვის საჭირო დოკუმენტაცია და ზემოაღნიშნული კომპონენტი შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისი“.

შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს მოახსენა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მონიტორინგის ფარგლებში არსებული მდგომარეობა.

როგორც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, დაწესებულებას ამ ვიზიტის ფარგლებში მიეცა განმავითარებელი რეკომენდაციები.

1. დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველი მიზნის „ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაუმჯობესება“ აქტივობა -„პერსონალის საჭიროებების განსაზღვრა. პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის დანერგვა. პერსონალის საჭიროებების მიხედვით გადამზადება“ - განსაზღვრული იყო მხოლოდ 2020 წელს; ასევე მეორე სტრატეგიული მიზნის „სწავლების ხარისხის გაუმჯობესება“ აქტივობა „პროგრამების განხორციელების არსებული შეფასების სისტემის დახვეწა“ განსაზღვრული იყო მხოლოდ 2020 წლისთვის, აქტივობა „პროფესიული განათლების მასწავლებლების მოტივაციის გაზრდა“ არ იყო განსაზღვრული 2020-2021 წლისთვის, ხოლო აქტივობა „სწავლების ხარისხის მონიტორინგის სისტემის ეფექტიანობის გაზრდა“ განსაზღვრული იყო მხოლოდ 2019,2020 და 2025 წლისთვის. რეკომენდირებულია დაწესებულების წარმომადგენლებმა გადახედონ სტრატეგიულ გეგმას და შეიტანონ ცვლილებები, დაწესებულებაში მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს ეს პროცესები და არ იყოს გაწერილი ერთ კონკრეტულ წელზე.

2. დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმაში რიგ შემთხვევებში ხდება ამოცანებისა და აქტივობების დუბლირება. რეკომენდირებულია დაწესებულების მიერ შესაბამისი ფორმულირებით ჩამოყალიბდეს ამოცანები და აქტივობები, რომ არ მოხდეს მათი დუბლირება.

მან ასევე აღნიშნა, რომ თითოეული მიზანი შედგება ამოცანებისგან. რიგ შემთხვევებში ხდება ამოცანებისა და აქტივობების დუბლირება, რიგ შემთხვევაში კი ამოცანა უფრო აქტივობის ჭრილშია განხილული, ვიდრე ამოცანის.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რაში მდგომარეობდა დუბლირება, ეს ეხებოდა ადამიანური რესურსების დუბლირებას, თუ აქტივობაზე ერთი და იგივე პირები იყო მითითებული, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ამოცანა და აქტივობა იყო ერთი და იგივე, ეს უფრო გამეორება იყო, ვიდრე გადაფარვა, ასევე, ამოცანა არ იყო ჩაშლილი კონკრეტულ აქტივობად.

პრეზენტაციაში ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ასევე შეეხო დაგეგმარების მეთოდოლოგიას, მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ განსაზღვრულია და დირექტორის მიერ დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლითაც ხელმძღვანელობს დაწესებულება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისას და შეფასებისას, ექსპერტთა შეფასებით აღნიშნული წესის შესაბამისად ხდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება, მონიტორინგი, შეფასება და მასში ცვლილების შეტანა. მან ასევე აღნიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ოქმები, საიდანაც ნათლად ჩანდა, რომ მეთოდოლოგიის შესაბამისად ხდებოდა კოლეჯში დაგეგმარება.

ასევე, შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი ორი დოკუმენტი, 2014-2021 წლების სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სტრატეგია და სოფლის მეურნეობის პერსპექტიული დარგები საქართველოს ოთხ შერჩეულ რეგიონში, დოკუმენტებში გამოიკვეთა სამცხე-ჯავახეთის პერსპექტიული დარგები, ასევე რეგიონში პროფესიული კადრების ნაკლებობა, ადამიანური რესურსების პროფესიული გადამზადება და პროფესიული განათლების ორიენტირება რეგიონის საჭიროებებზე, დაწესებულების სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს წარმოდგენილ დოკუმენტებში აღწერილ რეგიონის საჭიროებებს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, გეგმებში თუ იყო გათვალისწინებული ვადები, მითუმეტეს ახალი ცვლილებების ფონზე, და თუ ჰქონდა დაწესებულებას გაწერილი უფრო გრძელვადიან პერსპექტივაზე, ადამიანური რესურსების განვითარების კუთხით საჭიროების მიხედვით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სწორედ ამას შეეხებოდა ექსპერტების რეკომენდაცია, სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული იყო განსახორციელებელი აქტივობები, ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირები და შესრულების ინდიკატორები, თუმცა არ იყო განსაზღვრული საჭირო რესურსები. სამოქმედო გეგმას ვადა ეწურებოდა 2020 წლის 31 დეკემბერს, ვინაიდან დასკვნის პროექტი ცენტრში 30 დეკემბერს ჩაბარდა, შესაბამისად დაწესებულებამ დამატებით გადმოაგზავნა კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმის ფორმა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს დაწესებულებამ 2021 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს. წარმოდგენილ ფორმაში განსაზღვრულია: სტრატეგიული მიმზანი /ქვემიზანი, ამოცანები, აქტივობები, შესრულების პერიოდი, პასუხისმგებელი პირი, საჭირო რესურსები და შესრულების ინდიკატორი ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს - ეკა პატიეშვილს, ხომ არ ჰქონდა დამატებით ამ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება, ვინაიდან სტრატეგიული გეგმა თავისი ამოცანებით, აქტივობებით, რესურსებით და სხვა კომპონენტებით წარმოადგენდა გამოწვევას, დაინტერესდა რამდენად ჰქონდა დაწესებულებას მზაობა ამ კუთხით და როგორ შეაფასებდა ამ პროცესს.

ამასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება მოხდა დაწესებულების წარმომადგენლების ჩართულობით, მან აღნიშნა, რომ თვითონ სტრატეგიული გეგმის ცალკე სტანდარტად გამოტანა არის ძალიან კარგი, თუმცა დაწესებულებას დრო ჭირდება ამის გასააზრებლად, თუმცა დაწესებულებაში არის ამის რესურსი და ეს პროცესი კარგად არის გააზრებული, მან ასევე აღნიშნა, რომ ეს არის ის ქვაკუთხედი, რასაც კოლეჯის შემდეგი საქმიანობა ეფუძნება, და შესაბამისად მეტი დრო ჭირდება გააზრებას, მან აღნიშნა, რომ კოლეჯში ნამდვილად არის ამის პოტენციალი, ასევე დასძინა, რომ ჩანდა მათი მხრიდან მზაობა და ჩართულობა სიახლეებში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა და მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ როგორი იყო მზადების და ამ ხარვეზების გამოსწორების პროცესი, ამასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას არ აუყვანია კონსულტანტი ამ საკითხთან დაკავშირებით, პერსონალის აქტიური ჩართულობით განხორციელდა ხარვეზების გასწორება, მიუხედავად იმისა, რომ პროცესი რთული იყო, უმთავრესი მაინც სტრატეგიის დასახვა იყო, თუმცა არ იყო ადვილი ამ დასახული გეგმის მიხედვით მოქმედება,

ვინაიდან აღმოჩნდა რომ ტექნიკურად არ იყო გამართული, თუმცა გაკეთდა ახალი წლიური გეგმა, რომელიც თავისთავად ითვალისწინებდა რეგიონის განვითარების გეგმას.
საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ეს და არა მხოლოდ ეს სტანდარტი მნიშვნელოვანია დაწესებულებებისთვის, ამიტომ მიმღებლობა იმ რეკომენდაციების მიმართ, რაც გაჟღერებული იყო ექსპერტების მხრიდან მნიშვნელოვანი იყო, მან მადლობა გადაუხადა ამისთვის ექსპერტებს.
პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც ცალკე სტანდარტად გამოვიდა ხარისხის სტანდარტებში მისია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ამავე დროს დაწესებულებების მხრიდან თვითშეფასების ანგარიშებიც შემოვიდა და ანალიზიც გაკეთდა, სწორედ ამ კუთხით გეგმავს სამსახური შესაძლებლობის გაძლიერების ღონისძიებებს, რაც კიდევ ერთი მხარდაჭერა იქნება დაწესებულებების მიმართ, ვინაიდან სერიოზული და კომპლექსური თემაა.
საბჭოს წევრმა ნინო ველთაურმა ასევე აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია დაწესებულებებმა ეს პროცესი თავიანთი ძალებით განახორციელონ, ვინაიდან გარე ექსპერტის დაქირავება და მის მიერ შემუშავებული სტრატეგია ქაღალდზე რჩება, მან დასძინა, რომ დაწესებულების მხრიდან სწორი მიდგომა იყო საკუთარი ძალებით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესაბამისობაში მოყვანა.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფს თანამშრომლობისთვის.
თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - კოლეჯი „ოპიზარში“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „ოპიზარში“ (ს/კ: 224066980) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 26 თებერვალი.

სანამ საბჭო გადავიდოდა მესამე საკითხის განხილვამდე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა საბჭოს მიმართა შუამდგომლობით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ მიერ გამოგზავნილ წერილთან დაკავშირებით.
ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წარუდგინა კოლეჯის დირექტორის წერილი, რომლითაც დაწესებულებამ ცენტრს მომართა თხოვნით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში (224) ვებტექნოლოგიების საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ქვოტის გაზრდის თაობაზე (ნაცვლად 28-სა 84 პროფესიული სტუდენტი).
წერილში აღნიშნულია, რომ 2019 წლის 9 სექტემბერს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს №161 გადაწყვეტილების თანახმად, სსიპ კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიას“ მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ვებტექნოლოგიების“ განხორციელების უფლება (მეოთხე დონე), პროფესიული

სტუდენტების ადგილების ზღვრული რაოდენობით - 224, ხოლო 2020 წლის 28 ივლისის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიას“ მიენიჭა უფლება განეხორციელებინა „ვებტექნოლოგიების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობით - 28 (224-ის ფარგლებში).
დაწესებულების დირექტორმა წერილში გამოხატა სურვილი ქვოტა ნაცვლად 28-სა განსაზღვრულიყო 84 პროფესიული სტუდენტით ინტეგრირებულ პროგრამაზე, იმ კვოტის ფარგლებში (224) რომელიც გაწესებულებას საბჭოს გადაწყვეტილებით განესაზღვრა.
ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ ცენტრში რამდენიმე წერილი შემოვიდა, თუმცა საბჭოზე წარმოდგენილი დასკვნის ფარგლებში ამ საკითხის განხილვა ვერ მოხერხდა. პირველი წერილი გამოგზავნილი იყო 16 თებერვალს, ხოლო მეორე წერილი 24 თებერვალს, მაშინ როდესაც დაწესებულებაში პროგრამის ფარგლებში მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოება უკვე დასრულებული იყო.
სიტყვა ითხოვა კოლეჯის დირექტორმა მამუკა ჯანჯალიამ, მან აღნიშნა რომ შარშანდელი წელი ძალიან რთული იყო ქვეყანაში Covid-19 გავრცელების გამო, სწორედ მაშინ დაიმატა დაწესებულებამ საპილოტე რეჟიმში ეს პროგრამა, ლაბორატორია იმ მომენტისთვის დაწესებულებაში არ იყო, ვინაიდან პანდემიამ ხელი შეუშალა შესყიდვების პროცესს, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებები იყო დადებული. იმ დროს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში იყო შეფერხება. თუმცა ახლა უკვე ლაბორატორია, ის აღჭურვილობა, რაც ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის არის საჭირო, დაწესებულებას სრულად აქვს შეძენილი, რაც ამ ვიზიტის დროსაც დადასტურდა.
მან აღნიშნა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ ეს იყო პირველი ინტეგრირებული პროგრამა და საცდელ რეჟიმში გადაწყვიტა დაწესებულებამ ამ პროგრამის განხორციელება, მოითხოვა 28 პროფესიული სტუდენტი, თუმცა აღმოჩნდა, რომ მოთხოვნა ინტეგრირებულ პროგრამაზე გაიზარდა, რამაც დაწესებულება იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ გაზრდილიყო ინტეგრირებულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა (რა თქმა უნდა პროგრამაზე არსებული კვოტის ფარგლებში) და 28-ის ნაცვლად ყოფილიყო 84, საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სამი წლის განმავლობაში, ერთ მიღებაზე დაწესებულება მიიღებდა 28 პროფესიულ სტუდენტს. მან ამასთანავე აღნიშნა, რომ აღნიშნული კონტინგენტის მიღება არ საჭიროებდა სასწავლო გეგმის ცვლილებას, არც დამატებით მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრს, განემარტა, თუ რამდენად იყო მართებული ამ საკითხის ავტორიზაციის საბჭოზე განხილვა, ვინაიდან ამ საკითხთან დაკავშირებით არ იყო წარმოდგენილი ექსპერტების დასკვნა. ასევე აღნიშნა, რომ ეს საკითხი არის მონიტორინგის წარმოების საფუძველი
პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა ნინო სტეფანიშვილმა განმარტა, რომ ავტორიზაციის დებულებაში არის ცალკე მუხლი, რომელიც ეხება პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გაზრდას, თუმცა ამ შემთვევაში ზღვრული რაოდენობის გაზრდა კი არ ხდება, არამედ თავისი კვოტის ფარგლებში უნდა დაწესებულებას ინტეგრირებულ პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის გაზრდა, მან დაამატა, რომ ასეთი წარმოების შესახებ ავტორიზაციის დებულებაში არ არის ჩანაწერი, რომ ეს ცალკე წარმოება უნდა იყოს, ასევე დაწესებულების მხრიდანაც არ შემოსულა ამ წარმოების კუთხით წერილი.
რაც შეეხება ამ წერილს, ვინაიდან ცენტრში ეს წერილი შემოვიდა, რომელშიც დაწესებულება აღნიშნავდა, რომ არსებული კვოტის ფარგლებში უნდოდა გადანაწილება არაინტეგრირებულ და ინტეგრირებულ პროგრამას შორის, ვინაიდან ინტეგრირებული პროგრამ არის სამწლიანი, 28 პროფესიული სტუდენტის მაგივრად ითხოვდა 84 პროფესიულ სტუდენტს, ყოველწლიურად მიიღებდა 28-28 პროფესიულ სტუდენტს, აღნიშნავდა, რომ არ იმატებდა არც

ადამიანურ და მატერიალურ რესურსს (არსებული რესურსით იყო შესაძლებელი 84 პროფესიული სტუდენტის მომსახურება), აქედან გამომდინარე გაეგზავნა ექსპერტებს ეს წერილი, თუმცა მათ ნაკისრ ვალდებულებებს ეს საკითხი არ ეხებოდა.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუკი ეს ამ წარმოების ფარგლებში მოხდა, რატომ არ არის ექსპერტების მიერ შეფასება/დასკვნა წარმოდგენილი?
რაზეც ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ წარმოების ფარგლებში ეს საკითხი არც დასმულა და წერილი ცენტრში წარმოების დასრულების შემდეგ შემოვიდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს მათ მიერ შესწავლილი იყო თუ არა ეს საკითხი, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ეს საკითხი არ შედიოდა მათი წარმოების ფარგლებში.
შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ როდესაც არსებული კვოტის ფარგლებში ხდება გადანაწილება ინტეგრირებულ და არაინტეგრირებულ პროგრამას შორის, ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის მატერიალური რესურსი საკმარისი თუა 84 პროფესიული სტუდენტისთვის, მაშინ პრობლემა არ უნდა იყოს, თუმცა დასკვნა უნდა იყოს.
საბჭოს წევრი ნინო კაკულია დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა საბჭოს კანონმდებლობით ამის უფლება.
ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ ამ წერილის საბჭოზე გამოტანა, სამსახურის მხრიდან, ნაჩქარევი იყო, და სთხოვა საბჭოს მიეცთ უფლეა, ეს შუამდგომლობა უკან გაეტანათ, ვინაიდან ეს საკითხი არ იყო მყარად არგუმენტირებული, მან დაამატა, რომ ამ საკითხს ცალკე მონიტორინგი სჭირდებოდა, და აქვე აღნიშნა, რომ საბჭოს, უფლებამოსილების ფარგლებში, შეუძლია მხოლოდ დასკვნის საფუძველზე მიიღოს გადაწტყვეტილება.
ნინო ველთაურმა აღნიშნა, რომ თუ შუამდგომლობას უკან გაიტანდნენ, არ ექნებოდა შეკითხვა არსებული რესურსი საკმარისი იქნებოდა თუ არა ამდენი პროფესიული სტუდენტისთვის.
ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ ეს იქნებოდა დაწესებულების მიერ ცენტრის ინფორმირების საფუძველზე, ცენტრის მიერ ჩანიშნული მონიტორინგი ავტორიზაციის დებულების 53-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც ფასიანი არ არის.

კოლეჯის დირექტორმა თხოვა საბჭოს მოესმინა მისი არგუმენტები ამ საკითთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას მხოლოდ ერთი ინტეგრირებული პროგრამა აქვს, ამ პროგრამის მიხედვით ერთ ჯგუფზე დატვირთვა კვირაში არის მხოლოდ 5 საათი, მიუხედავაად იმისა, რომ ლაბორატორია 84 პროფესიულ სტუდენტსაც დაიტევს, მოთოვნილი იყო ერთდროულად მხოლოდ 28 პროფესიული სტუდენტის მიღება, რაც არანაირად არ უშლიდა ხელს სასწავლო პროცესს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კოლეჯის დირექტორს, რომ არ ჰქონდათ საფუძველი ეჭვი შეეტანათ მის სიტყვებში, თუმცა საბჭო უფლებამოსილია მხოლოდ დასკვნის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება.
საბჭოს წევრმა მარიამ ჩაგელიშვილმა ცენტრს მიმართა თხოვნით, რომ პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადებამდე, მოგვარებულიყო ეს საკითხი, რომ ხელი არ შეშლოდა დაწესებულებას.
საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა, ცენტრს დადგენილი პროცედურებით განეხორციელებინა მონიტორინგი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

3. სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ვებტექნოლოგიები“ - მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს,

დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე მონიტორინგის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ალინა კუპრავამ და აღნიშნა, რომ დისტანციურ მონიტორინგზე იმყოფებოდა ექსპერტთა ჯგუფთან ერთად, კერძოდ, დარგის ექსპერტ ალექსანდრე კეკენაძესთან - „ვებტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია მონიტორინგის საფუძვლების შესახებ და აღნიშნა, რომ მონიტორინგის საფუძველს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობა, კერძოდ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის" საგანმანათლებლო პროგრამის "ვებტექნოლოგიები", რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია, რომელიც მიეწოდათ ექსპერტებს. შედგა მონიტორინგის განრიგი. განრიგის შესაბამისად 2020 წლის 28 დეკემბერს ჩატარდა დისტანციური ვიზიტი, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, დაწესებულების წარმომადგენლებთან განხილულ იქნა გამოგზავნილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგები, განხორციელდა გასაუბრება სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)თან, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და ასევე დათვალიერდა მატერიალური რესურსები.

მან ასევე აღნიშნა, რომ წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში აღნიშნული პროგრამა შეფასდა მეტწილ შესაბამისობაში, რადგანაც 2.2. კომპონენტი შეფასებული იყო მეტწილად. მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებულ დოკუმენტებისა და დისტანციური ჩართვის საფუძველზე, პროფესიული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტი ექსპერტთა მიერ შეფასდა „სრულ შესაბამისობაში“. გამომდინარე აქედან პროგრამა შეფასებული არის სრულ შესაბამისობად.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია „ვებტექნოლოგიების“ პროგრამაზე ინტეგრირებული მოდულების აღჭურვილობის შეძენა დაასრულონ გაუმჯობესების გეგმით გაწერილ ვადებში (2020 წლის სექტემბრის ბოლომდე), რათა სასწავლო პროცესის დაწყებამდე მოხდეს ინტეგრირებული მოდულების განსახორციელებლად გამოყოფილი საგანმანათლებლო სივრცის მოწყობა - რეკომენდაცია გათვალისწინებულია.

ვიზიტის ფარგლებში ხარვეზები არ დაფიქსირებულა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ კოლეჯს „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 224, მათ შორის ერთ მიღებაზე 28 პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავდა ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს. „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრული იყო სულ 10 აუდიტორია, თითოეულში ერთ ცვლაში მინიმუმ 14 პროფესიული სტუდენტის განთავსებით, ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით

სასწავლო პროცესის წარმართვისთვის დაწესებულების მიერ გამოიყენებოდა 2 სასწავლო აუდიტორია (14-14 პროფესიული სტუდენტი თითოეულ ჯგუფში), დაწესებულებაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ცვლაში.
წინა ვიზიტის დროს ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსები იყო შესყიდვის პროცესში, დაწესებულებას დამტკიცებული ქონდა რესურსებით უზრუნველყოფილი სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტების მხრიდან კომპონენტი შეფასდა „მეტწილ შესაბამისობად“. დაწესებულებამ გეგმის საფუძველზე უზრუნველყო გათვალისწინებული მატერიალური რესურსების შეძენა და წარმოადგინა მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რესურსები ჩაბარებულია მიღება-ჩაბარების აქტით, დოკუმენტაციასთან ერთად, ასევე წარმოდგენილია ფოტო მასალა, დისტანციური ვიზიტის დროს დადასტურდა რესურსების არსებობის ფაქტი. ვინაიდან „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს საწარმოო პრაქტიკის მოდულს, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით ორცვლიანი რეჟიმით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე პრეზენტაციაში ასევე შეეხო სხვა ინდიკატორების შეფასებას:
ინდიკატორი 2.2.1.2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას
„ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს სულ 45, მათ შორის დარგობრივ მოდულებს ახორციელებს 14, ხოლო ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლების ჯამური რაოდენობა შეადგენს 8 პროფესიული განათლების მასწავლებელს. პროგრამის სასწავლო გეგმა შედგენილია მასწავლებელთა რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, დატვირთვა არ არის 40 საათზე მეტი. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე დაწესებულებამ პერსონალთან ასევე გააფორმა ხელშეკრულების დანართები დისტანციური პლატფორმით სასწავლო პროცესის წარმართვის განხორციელების შესახებ. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
ინდიკატორი 2.2.1.3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია
„ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება პირადი საქმეებით, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით და სამუშაო გამოცდილებით, საჭიროების გათვალისწინებით, სწავლების მეთოდების და შეფასების საკითხებში პროფესიული განათლების მასწავლებლებს უტარდებათ როგორც გარე, ასევე შიდა კონსულტაციები შესაბამისი უნარების გაუმჯობესების მიზნით ჯგუფურ და ინდივიდუალურ ფორმატში, რაც დასტურდება გასაუბრების შედეგებით.
ინდიკატორი 2.2.1.4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

„ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც ჩართული იყო პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 25-ე მუხლით განსაზღვრულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობები.

ინდიკატორი 2.2.1.5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

„ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განხორციე-ლებისთვის საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია შესაბამისი აუდიტორიის ნებისმიერი კომპიუტერიდან, ბიბლიოთეკაში განთავსებული კომპიუტერებიდან და ბიბლიოთეკაში დაცული CD/DVD დისკებიდან, რომელთა მოხმარება დარეგულირებულია დოკუმენტით „ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

„ბიბლიოთეკის დებულებით და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით“, ასევე „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ დარეგულირებულია ინკლუზიური პროფესიული განათლების მართვა სასწავლო რესურსების ადაპტირებასთან და სარგებლობასთან დაკავშირებით, პროფესიული განათლების მასწავლებელს განსაზღვრული აქვს საჭიროების შეთხვევაში სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის სასწავლო მასალის ადაპტირების ფუნქციაც. სსსმ პირებისათვის შესაბამისი სერვისებით სარგებლობის მიზნით ადაპტირებულია გარემო. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ პროგრამის ფარგლებში არ ჰყავთ სსსმ პირი, რომელსაც აღნიშნული სერვისით სარგებლობა დასჭირდა, თუმცა მეთოდოლოგიების შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ინდიკატორი 2.2.1.7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია ყველა შესაძლო შემოსავალი და ხარჯი, რომელიც შეიძლება ჰქონდეს პროგრამას. შემოსავალის წყაროა პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული(მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული) და პროგრამული დაფინანსება. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია აღჭურვილობასთან დაკავშირებით, დარგის ექსპერტმა ალექსანდრე კეკენაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას წინა ვიზიტის დროს მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებული აქვს და ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის არის ყველა საჭირო აღჭურვილობა, რაც ნათლად ჩანდა პრეზენტაციის დროს წარმოდგენილი ფოტოებითაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფს თანამშრომლობისთვის.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

19:19 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა გიორგი ხიშტოვანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიაში“ „ვებტექნოლოგიების“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიაში“ (ს/კ: 205339944) „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 26 თებერვალი.

4. ა(ა)იპ - კოლეჯი „ჰორიზონტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ელექტროობა“, „სარესტორნო მომსახურება“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს წინაშე მონიტორინგის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დიანა გახარიამ, მან აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „ელექტროობა“, „სარესტორნო მომსახურება“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება, ვიზიტის დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, განხორციელების გზით.
მან ასევე აღნიშნა, რომ მონიტორინგის მიზნით, ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ექსპერტები გაესაუბრნენ კოლეჯის დირექტორს, ხარისხის მართვის მენეჯერს და ბიბლიოთეკარს. ასევე, ინტერვიუ შედგა ორი პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებელ ზოგიერთ პროფესიული განათლების მასწავლებელთან. დაწესებულების წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს კოლეჯის შენობაში განთავსებული შესაბამისი აღჭურვილობის - „ელექტროობის“, „სარესტორნო მომსახურების“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების

მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის, შესაბამისი აუდიტორიების ჩვენება და ბიბლიოთეკის დათვალიერება.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე შეეხო განხორციელებულ წინა ადმინისტრაციული წარმოებას- - „ელექტროობის“, „სარესტორნო მომსახურების“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შეფასდა „მეტწილ შესაბამისობაში“. მონიტორინგის მიზნებისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან გამართული გასაუბრების საფუძველზე, ზემოაღნიშნული პროგრამების ავტორიზაციის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტი მიმდინარე ეტაპზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისი“. ამგვარად, „ელექტროობის“, „სარესტორნო მომსახურების“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები მე-2 სტანდარტთან მიმართებაში ფიქსირდება როგორც „სრულად შესაბამისი“.
აქედან გამომდინარე, მან დაასკვნა, რომ ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტში“ განხორციელებული წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში - „ელექტროობის“, „სარესტორნო მომსახურების“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შემენასთან დაკავშირებით, რეკომენდაცია შესრულებულია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ პრეზენტაციაში წარმოადგინა - „ელექტროობის“, „სარესტორნო მომსახურების“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობების ამსახველი ცხრილი.
ასევე პრეზენტაციაში წარმოდგენილი იქნა მატერიალური აღჭურვილობის ამსახველი ფოტოები.
პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა დამაზუსტებელი შეკითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და სთხოვა გამოეტანა სლაიდი, სადაც პროფესიული პროგრამების მიხედვით ასახული იყო პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობები არაინტეგრირებულ და ინტეგრირებულ პროგრამებზე, მან თხოვა ექსპერტს დაედასტურებინა საბჭოსთვის, რომ ზღვრული რაოდენობა თითოეული პროგრამისთვის იყო 30-30 პროფესიული სტუდენტი, ხოლო მათ შორის 15-15 ინტეგრირებულ პროგრამაზე, რაც ექსპერტმა დაუდასტურა.
პრეზენტაციის წარმოდგენის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დარგის ექსპერტებს, გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება. დარგის ექსპერტმა იაზონ დანელიამ (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - კომპიუტერული ქსელი და სისტემები) აღნიშნა, რომ დისტანციურად განხორციელდა აღჭურვილობის დათვალიერება, დაწესებულებას უახლესი აპარატურა გაცილებით მეტი აქვს შემენილი, ვიდრე ეს გაწერილია აღჭურვილობის სარეკომენდაციო ჩამონათვალში, კოლეჯში არიან კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებსაც შეუძლიათ ეფექტურად და ხარისხიანად განახორციელონ პროფესიული პროგრამა.
დარგის ექსპერტმა ნანა შათირიშვილმა (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სარესტორნო მომსახურება) აღნიშნა, რომ ამ პროგრამის დამატების დროსაც ის იყო ამ კოლეჯში, ვინაიდან მონიტორინგი ეხებოდა რესურსების შევსების საკითხს, მან დააზუსტა, რომ მატერიალური რესურსი შევსებულია და სრულ შესაბამისობაშია.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პარტნიორებთან დაკავშირებით, რაზეც დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ ვინაიდან პროფესიული პროგრამა ხორციელდებოდა დაწესებულებაში, არ საჭიროებდა პარტნიორთან ხელშეკრულებას, ერთადერთი მოდული, რომელიც დაწესებულების გარეთ სასწავლო ექსკურსიის სახით იყო დაგეგმილი, მოდული გაცნობითი პრაქტიკაა.

დარგის ექსპერტმა დავით გუდაძემ (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტროობა) აღნიშნა, რომ დისტანციური ვიზიტის დროს განხორციელდა მატერიალური რესურსის დათვალიერება, აღნიშნული პროგრამისთვის დაწესებულება სრულად არის აღჭურვილი, რასაც ადასტურებს ასევე მიღება-ჩაბარების აქტები. განხორცილდა ასევე ინტერვიუირება პროგრამის განმახორციელებლებთან.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს და ექსპერტებს თანამშრომლობისთვის.
თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტში“ „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტში“ (ს/კ: 237079497) „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 26 თებერვალი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტში“ „სარესტორნო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტში“ (ს/კ: 237079497) „სარესტორნო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 26 თებერვალი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტში“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - კოლეჯ „ჰორიზონტში“ (ს/კ: 237079497) „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 26 თებერვალი.

5. სსიპ - კოლეჯი „მოდუსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „კულინარიის ხელოვნება“ - მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს წინაშე მონიტორინგის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნანა შარაბიძემ და აღნიშნა, რომ მონიტორინგზე იმყოფებოდა ექსპერტთა ჯგუფთან ერთად, კერძოდ, დარგის ექსპერტ ზაირა ბერიძესთან - „კულინარიის ხელოვნების“ საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია მონიტორინგის საფუძვლების შესახებ და აღნიშნა, რომ მონიტორინგის საფუძველს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობა, კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - კოლეჯ „მოდუსის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „კულინარიის ხელოვნება“ - ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
მან ასევე აღნიშნა, რომ წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "კულინარიის ხელოვნება" ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“, რადგანაც 2.2 კომპონენტი შეფასდა „მეტწილად“. მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებული დოკუმენტებისა და დისტანციური ჩართვის საფუძველზე, ზემოაღნიშნული პროგრამის, ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტი ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისი“ და შესაბამისად, ზემოაღნიშნული პროგრამა ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებაში არის უკვე „სრულად შესაბამისი“.
წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია 2.2.1 (1) კომპონენტთან მიმართებაში, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, გაუმჯობესების გეგმის თანახმად შესყიდულ და ადგილზე

განთავსებულ იქნას შესაბამისი აღჭურვილობა, შესრულებულია და შესაბამისად სტანდარტთან მიმართებაში დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსის ნაწილში შეფასდა, როგორც „სრულად შესაბამისი“.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, საგანმანათლებლო სივრცე, მატერიალური ,და ადამიანური რესურსი სტანდარტთან შესაბამისობაშია, რაც დასტურდება შესყიდვის დოკუმენტაციის გადამოწმებით და დისტანციური გასაუბრების დროს დათვალიერებით. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული მოდულების განსახორციელებლად, განსაზღვრულია 5 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა, მათი შესაბამისობა პროფესიული სტუდენტების რაოდენობასთან და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების და მათზე დაკისრებული ფუნქცია - მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას, რითაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა.
თავის პრეზენტაციაში მან ასევე აღნიშნა, რომ პრაქტიკული კომპონენტი - შპს „გრანდ ვეჯინი“-სთან გაფორმებული ხელშეკრულება (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი - 11.07.2020) ითვალისწინებს „სასტუმროსა და რესტორნის სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფის“ მოდულის ოთხი სწავლის შედეგის დასადასტურებლად 74 საათის გავლას.
ვიზიტის ფარგლებში ხარვეზები არ დაფიქსირებულა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
პრეზენტაციაში ასევე წარმოდგენილი იქნა მატერიალური აღჭურვილობის ამსახველი ფოტოები.
შემდეგ თავისი პოზიცია დააფიქსირა დარგის ექსპერტმა ზაირა ბერიძემ, მან აღნიშნა, რომ ამომწურავად იყო პრეზენტაცია წარმოდგენილი, ყველა აღჭურვილობა ადგილზე იყო, დარგის ექსპერტმაც დაადასტურა, რომ დისტანციურად იქნა შესწავლილი გარემოების დათვალიერება, სასწავლო რესურსიც საკმაოდ შთამბეჭდავია, ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი და ადამიანური რესურსი საკმაოდ კვალიფიციურია, აქედან გამომდინარე იმედი გვაქვს, რომ პროგრამა ეფექტურად განხორციელდება.
საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ უსურვა წარმატებები კოლეჯის ახალ დირექტორს და მადლობა გადაუხადა ყოფილ დირექტორს კარლო კერვალიშვილს იმ პერფორმანსისთვის, იმ მიდგომებისთვის, რაც წარმოადგინა და დაამკვიდრა კოლეჯში.
შემდეგ სიტყვა ითხოვა პავლე თვალიაშვილმა, სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“ დირექტორმა, მან მადლობა გადაუხადა კოლექტივს, მთელ გუნდს, ასევე ექსპერტებს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.
აზრი გამოთქვეს ასევე კოლეჯის თანამშრომლებმა, მათ მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს მაღალპროფესიული საქმიანობისთვის და კეთილი განწყობისთვის.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ - შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ამ დაწესებულების გუნდი გამოირჩეოდა სტრატეგიული ხედვით, ეს შეფერხება გამოწვეული იყო ქვეყანაში კოვიდის მიერ გამოწვეული შეზღუდვებით და უსურვა წარმატებები.
თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - კოლეჯ „მოდუსში“ „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „მოდუსში“ (ს/კ: 216350829) „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 26 თებერვალი.

საბჭოს სხდომა დასრულდა 20:07 საათზე.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბოლოთაშვილი მაგდა